საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 12 ოქტომბერი**

დისციპლინური საქმე №308/18-1
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 19 დეკემბრის №-- საჩივრისა და 2019 წლის 5 თებერვლის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებით საჩივრები გაერთიანდა ერთ წარმოებად და საქმის ნომერი განისაზღვრა - №308/18.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 30 აპრილის №308/18 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, მოსამართლე -- -- მიმართ, დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდა კანონიერების ნაწილში.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე მიკერძოებულად განიხილავდა საქმეს, ავლენდა მხარდაჭერას მოპასუხე მხარეების მიმართ. მოსამართლის მხრიდან მხარეების მიმართ არათანასწორი მიდგომა ნათლად გამოიკვეთა 12.11.2018 წლის სხდომაზე. მოსამართლე დამცინავი და ცინიკური იყო მოსარჩელის მიმართ, არაერთხელ დაემუქრა მას სანქციებით. მოსამართლის გაფრთხილების გამოცხადების დროს მოწინააღმდეგე მხარე განაგრძობდა საუბარს და ხითხითს, რაც ფონად გასდევდა 12.11.2018 წლის სხდომის ოქმს, მათ შორის მოსამართლის გაფრთხილების გამოცხადების დროსაც (15:17:38 – 15:18:15).

საჩივრის ავტორმა მოსამართლეს მოსთხოვა სხდომის ვიდეოჩანაწერი, რომელშიც მოპასუხეები გადაღებულნი არიან ზურგიდან, თუმცა როგორც საჩივრის ავტორი აღნიშნავს, მოსამართლემ სხვა რაკურსის ვიდეოჩანაწერის მოცემაზე უარი უთხრა, რაც გაამართლა იმით, რომ უკეთესი ხარისხის ვიდეო არ გააჩნდა, თუმცა ხარისხი არ ყოფილა მხარისათვის პრობლემა, მას სურდა ვიდეოს ნახვა იმ რაკურსით, სადაც უკეთ გამოჩნდებოდა მოპასუხეების წესრიგის დამრღვევი ქმედებები.

ასევე მოსამართლემ სასამართლო პროცესები აწარმოა პროცესუალური ნორმების დარღვევით. მოსამართლე აჭიანურებდა სხდომის მიმდინარეობას. საჩივრის ავტორის განმარტებით, მოსამართლემ საქმის განხილვის ვადის გაჭიანურება დააბრალა მოსარჩელეს, მაშინ როდესაც თავად აჭიანურებდა საქმის განხილვის კანონით განსაზღვრულ ვადას. ამასთან, მოსამართლემ არ დააკმაყოფილა დასაბუთებული შუამდგომლობები აცილებასთან დაკავშირებით.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლემ არც ერთ სხდომის ოქმში არ მიუთითა დისკის ნომერი, რომელზეც მიმდინარეობს სხდომის ჩაწერა, რაც მოსამართლეს სხდომის ოქმების ჩანაწერების მანიპულაციის საშუალებას აძლევს. 2019 წლის 21 იანვრის სხდომის ოქმი ჩაწერილი ხარვეზით რადგან შეუძლებელია მოსამართლის გამოსვლების მოსმენა და გარჩევა.

ასევე, მოსამართლემ -- -- რაიონის გამგეობას გაუგზავნა უწყება და 24.05.2017 წლის მოსარჩელის დაზუსტებული სარჩელი, რომელიც მოსამართლეს 29.05.2017 წლის განჩინებით არ ჰქონდა მიღებული წარმოებაში. ფაქტიურად მოსამართლემ 16.06.2017 წლის სხდომაზე საქმეში -- -- რაიონის გამგეობამ უკანონოდ მიიღო მონაწილეობა, იგი მოსამართლეს არ ჩაურთავს საქმეში მესამე პირად. 16.06.2017 წლის სხდომაზე მესამე პირად ჩაება -- -- და არა -- -- რაიონის გამგეობა.

საჩივრის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ მოსამართლემ წინა სხდომაზე განაცხადა, რომ 2 საათს გააგრძელებდა შემდეგ პროცესზე, თუმცა სხდომას ნაკლები დრო მოანდომა. მოსამართლემ შეამოკლა და გაფლანგა სასამართლო პროცესისათვის გამოყოფილი დრო, გადადო საქმის განხილვა.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ ფაქტობრივი გარემოებები:

-- -- და -- -- 2017 წლის 6 აპრილს სარჩელით მიმართეს -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. მოპასუხის - -- -- მიმართ, -- მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 10 მარტის №-- ბრძანების მოქმედების შეჩერების მოთხოვნით. 2017 წლის 11 აპრილის განჩინებით -- -- და -- -- სარჩელი მიღებულ იქნა წარმოებაში. საქმეში მესამე პირად ჩაერთო -- --. ამავე განჩინებით საქმის განხილვის ვადა გაგრძელდა 5 თვემდე.

-- მუნიციპალიტეტის მერიამ 2017 წლის 3 მაისს წარადგინა შესაგებელი.

2017 წლის 24 მაისს -- -- და -- -- სასამართლოში წარმოადგინეს დაზუსტებული სარჩელი, მოპასუხეების - -- -- მიმართ, -- მერის 10.03.2017 წლის №-- ბრძანების ბათილად ცნობის და -- -- რაიონის გამგეობის 04.05.2017 წლის 30.01.171241 ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნით. -- -- სასამართლოს 2017 წლის 29 მაისის განჩინებით -- -- და -- -- სარჩელი -- რაიონის გამგეობის 2017 წლის 4 მაისის №-- ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში არ იქნა მიღებული განსახილველად.

2017 წლის 5 ივნისის განჩინებით, საქმეზე მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2017 წლის 16 ივნისს. სხდომის შესახებ ეცნობათ მხარეებს და მესამე პირის წარმომადგენელს -- -- (რწმუნებულების ვადა აქვს 2020 წლის 15 მაისამდე - მე-4 ტომი, ფურც. 241-243). 2017 წლის 13 ივნისს -- -- და -- -- სასამართლოში წარადგინეს დაზუსტებული სარჩელი, მოპასუხეების -- -- და -- -- მიმართ.

2017 წლის 16 ივნისის სხდომის გაგრძელება გადაინიშნა 2017 წლის 2 ოქტომბერს. 2017 წლის 30 ოქტომბერს მოსარჩელეებმა კვლავ წარმოადგინეს დაზუსტებული სარჩელი, რომელზეც მოპასუხემ შესაგებელი წარადგინა 15.01.2018 წელს. 2017 წლის 10 დეკემბრის განჩინებით -- -- განცხადება სხდომის ოქმზე შენიშვნების თაობაზე დატოვებულ იქნა განუხილველი. 2017 წლის 10 დეკემბრის განჩინებით -- -- განცხადება უსწორობის გასწორების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

საქმეზე მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2018 წლის 26 თებერვალს. 2018 წლის 18 იანვარს მოსარჩელეებმა კვლავ წარადგინეს სასამართლოში დაზუსტებული სარჩელი. შემდგომი სხდომა

გადაინიშნა 2018 წლის 23 მაისს.

2018 წლის 7 მარტიდან საქმე გადაიგზავნა -- სააპელაციო სასამართლოში, მესამე პირის - -- -- კერძო საჩივრის განხილვის მიზნით. კერძო საჩივარი 2018 წლის 16 მარტის განჩინებით მიღებულ იქნა განსახილველად. 2018 წლის 26 ივლისის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 30 ივნისის განჩინება. ასევე -- --სასამართლოს 2018 წლის 26 თებერვლის საოქმო განჩინება, რომელიც გაასაჩივრა -- -- წარმომადგენელმა დარჩა უცვლელი, -- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 11 მაისის განჩინებით.

-- -- სასამართლოს მოსამართლე -- -- საქმე ზემდგომი ინსტანციიდან დაუბრუნდა 2018 წლის 19 ივნისს (აპელაციაში საქმის განხილვის პერიოდი - 3 თვე და 12 დღე).

მოსამართლემ საქმის განხილვის მოსამზადებელი სხდომა ჩანიშნა 2018 წლის 12 სექტემბერს, ხოლო მთავარი სხდომა ჩაინიშნა 2018 წლის 12 ნოემბერს (კონკრეტული სხდომის შესახებ მხარეებს ეცნობათ 12 სექტემბრის სხდომაზე, რაც დასტურდება ხელწერილით). სხდომის გაგრძელება ახსნა-განმარტების ეტაპიდან გადაიდო 2018 წლის 10 დეკემბერს. 2018 წლის 12 ნოემბრის განჩინებით მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობა მოსამართლის აცილების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

2018 წლის 26 ნოემბერს -- -- განცხადება წარადგინა სასამართლოში და მოითხოვა 12.11.2018 წლის სხდომის ვიდეოჩანაწერი სხვა რაკურსით, პირდაპირი ხედით, რომელში მოწინააღმდეგე მხარის სახეები და მოქმედებები ჩანს სრულყოფილად. 2018 წლის 30 ნოემბრის პასუხად განცხადების ავტორს განემარტა, რომ სხდომის ოქმის სხვა სახის ვიდეოჩანაწერის გაცემა შეუძლებელია, ვინაიდან აღნიშნული სასამართლოს არ გააჩნია.

2018 წლის 10 დეკემბრის საოქმო განჩინებით -- -- შუამდგომლობა მოსამართლის აცილების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. ამავე სხდომაზე განისაზღვრა მომდევნო პროცესის თარიღი, 2019 წლის 21 იანვარი (მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპი), ხოლო შემდგომი სხდომა გადაინიშნა 2019 წლის 6 თებერვალს (მხარეთა პაექრობის ეტაპი). საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გადაიდო 2019 წლის 26 თებერვალს.

-- -- სასამართლოს 2019 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით -- -- და -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი -- მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 10 მარტის -- -- ბრძანება; ბათილად იქნა ცნობილი -- რაიონის გამგეობის 2017 წლის 4 მაისის -- -- გადაწყვეტილება; ბათილად იქნა ცნობილი -- მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 3 ოქტომბრის -- -- ბრძანება.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 30 აპრილის დასკვნა:

-- -- 2018 წლის 19 დეკემბრის №-- საჩივრისა და 2019 წლის 5 თებერვლის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

4.1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება - „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.“ განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ

შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 ნაწილის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში. ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, განსაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება.[1]

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო ვადის დარღვევაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების 6.5. მუხლის მიხედვით მოსამართლემ ყველა სამოსამართლო ფუნქცია, მათ შორის გადადებულ გადაწყვეტილებათა მიღება უნდა განახორციელოს ეფექტურად, სამართლიანად და გონივრული სისწრაფით. ამასთან, „საქმეების სამართლიანად და გულდასმით განხილვის ვალდებულება არ ეწინააღმდეგება საქმეთა საკმარისად სწრაფად განხილვისა და გადაწყვეტის ვალდებულებას. მოსამართლის უპირველესი ვალია სამოსამართლო უფლებამოსილების შესრულება, რომელთა ძირითადი ელემენტიც არის საქმეების განხილვა და გადაწყვეტილების გამოტანა. გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთება მოსამართლემ უსაფუძვლო დაგვიანების გარეშე უნდა გამოაცხადოს.“

საქმის განხილვის დაწყების შემდეგ იყო თუ არა საქმის განხილვის ვადები დარღვეული „არასაპატიოდ“, უნდა შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სასამართლო პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, კერძოდ:

1. საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, §150);
2. მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას;
3. საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece, §93; Tiece v. San Marino, §31; Suermeli v. Germany, §129).

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/1/531

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany, §98).

განსახილველ შემთხვევაში, საქმის განხილვისათვის დადგენილი ვადის ათვლა უნდა დაიწყოს 2017 წლის 3 მაისიდან, მაშინ როდესაც მოპასუხე მხარემ სასამართლოს წარუდგინა შესაგებელი. საქმის განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში დასრულდა 2019 წლის 26 თებერვალს. ყურადღება უნდა მიექცეს მოსამართლის მიერ ამ პერიოდში გამოყენებული შვებულებების (10.07.2017-07.08.2017; 02.07.2018 – 07.08.2018; 29.01.2019 – 05.02.2019) დღეების რაოდენობას, რომელიც შეადგენს 44 დღეს. ასევე ყურადღება უნდა მიექცეს პერიოდს, როდესაც საქმე გადაგზავნილი იყო აპელაციაში (5 თვემდე პერიოდი).

მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს მოსამართლის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებების სიხშირე, მოსამართლემ კონკრეტულ საქმეზე მიიღო არაერთი განჩინება, ჩაატარა რამდენიმე პროცესი, მოსარჩელეების მიერ მოხდა სარჩელის ოთხჯერ დაზუსტება, აღნიშნული კი ბუნებრივია განაპირობებდა საქმის განხილვის ვადის გაჭიანურებას.

ყოველივე ზემოაღნიშნული ვადების გათვალისწინებით, მოსამართლემ კონკრეტული საქმის განხილვა დაასრულა 1 წელსა და 3 თვის ვადაში, ანუ 10 თვის ვადაგადაცილებით.

საყურადღებოა მოსამართლის დატვირთულობა: -- -- სასამართლოს 2017 წლის სტატისტიკური მონაცემებით მოსამართლეს განსახილველად ეწერა 601 საქმე, ხოლო დაასრულა 145 საქმე (24%). -- -- სასამართლოს 2018 წლის სტატისტიკური მონაცემებით მოსამართლეს განსახილველად ეწერა 500 საქმე, საიდანაც დაასრულა 340 საქმე (68%).

აღნიშნული საქმის მოსამართლის წარმოებაში ყოფნის პერიოდის და განსახილველ საქმესთან მიმართებით მოსამართლის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებების შეფასების მიხედვით, ამასთან სტატისტიკური მონაცემებისა და მოსამართლის დატვირთულობის გათვალისწინებით მოსამართლე -- -- მხრიდან არ იკვეთება საქმის განხილვის საპროცესო ვადის ბრალეულად დარღვევის ნიშნები.

4.2. საჩივრის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ მოსამართლემ საქმე განიხილა მიკერძოებულად, ვინაიდან იგი ცინიკური და დამცინავი იყო მოსარჩელე მხარის მიმართ, ასევე პროცესზე მხარეებს აყენებდა არათანაბარ მდგომარეობაში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1985 წელს შემუშავებული დოკუმენტის „სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები“ მე-2 მუხლი ითვალისწინებს შემდეგ პირობას: „სასამართლომ მის წინაშე წარდგენილი საქმეები უნდა გადაწყვიტოს მიუკერძოებლად, ფაქტებზე დაყრდნობით და კანონის შესაბამისად, ნებისმიერი მხრიდან და ნებისმიერი მიზნით ყოველგვარი შეზღუდვის, შეუსაბამო ზეგავლენის, იძულების, ზეწოლის, დაშინების და პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩარევის გარეშე“.

მიუკერძოებლობა ევროპის სასამართლოს მიერ განმარტებულია როგორც სუბიექტური მიდგომის გათვალისწინებით, რომელშიც მხედველობაში მიიღება ცალკეული მოსამართლის პირადი შეხედულებები და ინტერესები კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, ისე ობიექტური კრიტერიუმების შესაბამისად, რომელიც ამტკიცებენ, რომ მოსამართლემ წარმოადგინა გარანტიები საკმარისი იმისთვის, რომ გამორიცხულიყო რაიმე სახის კანონიერი ეჭვი მის მიუკერძოებლობაში. მოსამართლეებმა ნებისმიერ გარემოებაში უნდა იმოქმედონ მიუკერძოებლად და უზრუნველყონ, რომ მოქალაქეებს არ ჰქონდეთ კანონიერი საფუძველი დაეჭვდნენ მათ რაიმე სახის მიკერძოებაში.

მოსამართლეებმა უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობები რაიმე სახის უპირატესობის, მიკერძოების ან წინასწარ შექმნილი განწყობის გარეშე, გადაწყვეტილების მიღებისას, მათ არ უნდა გაითვალისწინონ რაიმე, რაც სამართლის ნორმის გამოყენების ფარგლებს სცდება. საქმის განხილვისას მათ შეგნებულად არ უნდა მისცენ თავს უფლება გააკეთონ რაიმე კომენტარი, რომელიც საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას მიკერძოების რაიმე ვარაუდსაც კი გამოიწვევს.

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მიერ დეტალურად მოხდა იმ სხდომის მოსმენა (12.11.2017 წელი), რომელზეც აპელირებს მოსარჩელე მხარე. მოსამართლის მიერ მოსარჩელე მხარის გაფრთხილება დაჯარიმების თაობაზე მიმართული იყო წესრიგის დაცვისკენ, მისი მხრიდან რაიმე სახის დამცინავ თუ ირონიულ ტერმინოლოგიას ადგილი არ ჰქონია. მოსამართლე მხარეებს მოუწოდებს ისაუბრონ საქმესთან დაკავშირებით რათა არ გაჭიანურებულიყო სხდომის მიმდინარეობა. შესაბაისად, მისი მხრიდან რაიმე სახის დისციპლინური გადაცდომის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

აღსანიშნავია, რომ სხდომის აუდიო ოქმების დეტალური შესწავლის შედეგად ვერ დადასტურდა საჩივრის ავტორის მითითება იმის თაობაზე, რომ მოსამართლე -- -- იყო მიკერძოებული და სხდომების მიმდინარეობისას იჩენდა აშკარა მხარდაჭერას ადმინისტრაციული ორგანოსა და მესამე პირის მიმართ.

ხოლო, რაც შეეხება საჩივრის ავტორის განმარტებას იმის თაობაზე, რომ მოსამართლემ მათ სხდომას დაუთმო მხოლოდ საათნახევარი, ნაცვლად ორი საათისა, აღნიშნული განპირობებული იყო მოსამართლის გადატვირთული გრაფიკით, რაც თავის მხრივ გამორიცხავს მოსამართლის მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტს.

ასევე, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლემ არ მიუთითა დისკის ნომერი სხდომის ოქმებზე, აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში უნდა განიმარტოს, რომ არ არსებობს მოსამართლისათვის მსგავსი ქმედების განხორციელების მავალდებულებელი ნორმა, რის გამოც, კონკრეტულ ფაქტთან მიმართებით, მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტზე საუბარი საფუძველს მოკლებულია.

5. **საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან - 13 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75[12] მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №308/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი